## თბილისის “დინამო” აგროვებს ქულებს

კიევი. (ჩვენი კორ.).

19 აგვისტოს “დინამოს” სტადიონზე შედგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი და თბილისის “დინამოს” ოსტატთა გუნდები.

თბილისელებმა თავიდანვე სწრაფი ტემპი განავითარეს და უკვე პირველი წუთებიდანვე თამაშში ჩაება კიეველთა ახალგაზრდა მეკარე მაკაროვი. რაც დრო გადიოდა, თამაში მით უფრო მწვავდებოდა. მე-18 წუთზე მასპინძლების საჯარიმო მოედანზე ღორობერიძემ ზუსტად გადააწოდა ბურთი უკან ნახევარდამცველ პანიუკოვს, რომელმაც ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. არ გასულა ორი წუთი და თბილისელთა მარცხენა გარემარბმა თოდრიამ გაადიდა ანგარიში.

თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ ანგარიშით 2:0.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა მეორე ნახევარი. კიეველებმა ბევრჯერ სცადეს წაგებიდან თავის დაღწევა, მაგრამ მათ ერთი ბურთის გატანის მეტი ვერ შესძლეს.

მატჩი მოიგო თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივმა ანგარიშით 2:1.

**“ლელო”, 25 აგვისტო 1950 წ.**